დამკვეთი: შ.პ.ს „დუგლაძეების ღვინის კომპანია“

ობიექტი: ქ. თბილისი, თ. ჩანტლაძის ჩიხი N8 (ს.კ.01.19.16.001.300)

მინის ტარის საწყობი.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

სამშენებლო დოკუმენტის პროექტი

კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ.რუსთავი

2022 წელი

საექსპერტო დასკვნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ობიექტის დასახელება:	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
ობიექტის მისამართი:	ქ. თბილისი, თ. ჩანტლაძის ჩიხი N8 (ს.კ.01.19.16.001.300)
საპროექტო ორგანიზაცია:	შ.პ.ს „პროექტი 2006“ და შ.პ.ს „დემე“
პროექტის ავტორი:	ა. ჩოქური
ინჟინერ-კონსტრუქტორი:	რ. აბდუშელიშვილი
ექსპერტი:	ინჟინერ-კონსტრუქტორი გ. ამბროლაძე

ჩემს მიერ 2022 წლის მარტის თვეში ექსპერტიზა ჩაუტარდა ქ. თბილისში თ. ჩანტლაძის ჩიხის N8-ში (ს.კ.01.19.16.001.300) შ.პ.ს „ დუგლაძეების ღვინის კომპანიას“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მინის ტარის საწყობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს.

ექსპერტიზისთვის გადმომეცა პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, არქიტექტურული ნაწილის რამდენიმე ნახაზი და საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები.

1. სატიტულო გვერდი ხელმოწერებით;
2. საერთო მონაცემები;
3. კონსტრუქციული პროექტი;
4. არქიტექტურული პროექტი;
5. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ანგარიშების ტექსტური ნაწილი.

პროექტი დამუშავებულია შპს „პროექტო 2006“ და „დემე“-ს მიერ (არქიტექტორი ა. ჩოქური, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აბდუშელიშვილი) 2022 წლის მარტის თვეში. იგი ითვალისწინებს ქ. თბილისში თ. ჩანტლაძის ჩიხის N8-ში (ს.კ.01.19.16.001.300) შ.პ.ს „ დუგლაძეების ღვინის კომპანიას“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მინის ტარის საწყობის მშენებლობას.

შენობის ზომები გეგმაში:

სიგრძე-96,825მ; სიგანე-24,0მ;

შენობის სიმაღლე-9,0მ (± 0,00 ნიშნულიდან, გადახურვის ფერმის ქვედა დონემდე)

საქართველოს ზოგადი დარაიონების რუკის მიხედვით მშენებლობისათვის განკუთვნილი ტერიტორია იმყოფება 8 ბალიან სეისმურ ზონაში.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგად, ანალოგების და არსებული გამოყენებული მასალების მონაცემები მიღებულია ანალოგის მიხედვით

შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები P=1,86გ/სმ³; f=16°; C=0,40კგძ/სმ²; E=180 კგძ/სმ²; R₀=2,8კგძ/სმ².

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სამშენებლო უბანი მიეკუთვნება კატეგორიას (მარტივი). საინჟინრო-გეოლოგიური პირობების თვალსაზრისით სამშენებლო უბანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში. უარყოფითი საინჟნრო-გეოლოგიური პროცესები არ აღინიშნება

საპროექტო, მინის ტარის საწყობის შენობა ერთ სართულიანია ზომებით: სიგრძე-96,825მ; სიგანე-24,0მ; შენობის სიმაღლე 0,000 ნიშნულიდან (იატაკის დონე)-გადახურვის ფერმის ქვედა დონემდე 9,0მ; ± 0,00 იატაკის დონე მიწის ზედაპირიდან აწეულია ზემოთ ცვალებადი სიდიდით.(0,6 ÷1,14მ-მდე). შენობა გადაწყვეტილია შერეულ კარკასში; საძირკვლები წერტილოვანია, მონოლითური რკინაბეტონის; ბეტონის კლასი - B25, დაარმირებული AIII და AI კლასის არმატურით.

შენობის პერიმეტრზე ± 0,00მ ნიშნულამდე ეწყობა ლენტური საძირკვლები (ცოკოლი) მონოლითური რკინაბეტონის, ბეტონის კლასი B25; დაარმირებული AIII და AI კლასის არმატურით. შენობის ძირითად მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კოლონები, ბეტონის კლასი B25 და არმატურა AIII და AI კლასის. ძირითადი კოლონების ბიჯია 6,0მ; გადახურვის ფერმების ბიჯი-6,0მ; შენობის შუაში მოწყობილია ტემპერატურული ნაკერი. კოლონებს შორის განაპირა რიგებში ეწყობა ვერტიკალური კავშირები. გადახურვის კონსტრუქციას წარმოადგენს ფოლადის ტრაპეციული ფორმის ორქანობიანი ფერმები; მასალად შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც კვადრატული მილები, ასევე შეწყვილებული კუთხოვანები. გრძივები დამზადებული იქნება კვადრატული მილებით ან შველერებით. კედლის ჰორიზონტალური ფახვერკის კოჭებიც მზადდება კვადრატული მილებით ან შველერებით. სახურავის ან კედლის შემომსაზღვრელი მასალები მიიღება პროფილირებული თუნუქის ფურცლით ან სენდვიჩპანელებით.

დ ა ს კ ვ ნ ა :

ქ. თბილისში, თ. ჩანტლაძის ჩიხის N8--ში (ს.კ.01.19.16.001.300) შ.პ.ს „დუგლაძეების ღვინის კომპანიას“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მინის ტარის საწყობის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის კონსტრუქციული ნაწილები დამუშავებულია შპს „დემე”-ს მიერ (ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აბდუშელიშვილი) შესრულებულია საქართველოში დღეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და დამაკმაყოფილებელი ხარისხით, რის გამოც პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ვაძლევ დადებით შეფასებას.

ექსპერტი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი /გ. ამბროლაძე/

46 წლიანი გამოცდილებით



ლიტერატურა

1. *Бетонные* и железобетонные конструкции: СНиП 2.03.01-84.— М., 1985.— 89 с.
2. *Деревянные* конструкции: СНиП II-25-80.— М., 1982.—
3. *Жилые* здания: СНиП II-Л.1-71*.— М., 1978.— 32 с.
5. *Каменные* и армокаменные конструкции: СНиП II-22-81.— М., 1983.— 40 с.
6. *Нагрузки* и воздействия: СНиП 2.01.07-85.— М., 1986.— 57 с.
7. *Общественные* здания и сооружения. Общая часть: СНиП II-Л.2-72*.— М., 1978.— 20 с.
8. *Основания* зданий и сооружений: СНиП 2.02.01-83.— М., 1984.— 64 с.
9. *Противопожарные* нормы проектирования зданий и сооружений : СНиП II-2-30.— М., 1981.
10. Е.И. БЕЛЕНЯ. металлические конструкций
11. СНиП II-23-81. стальные конструкции.
12. справочник проектировщика. Расчетно-теоретический. т.1 под ред. А.А. Уманского.
13. ბ.ბასიდაძე, ო.ფალავა, ლითონის კონსტრუქციები.



ავტობიოგრაფია:

მე გენადი იასონის ძე ამბროლაძე, დავიბადე თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარში 1952 წლის 6 იანვარს. 1958 წელს შევედი და 1968 წელს დავამთავრე ამავე სოფლის საშუალო სკოლა, 1959 წელს მისარები გამოცდები ჩავაბარე და 1975 წელს დავამტავრე საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ისნტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და მომენიჭა მშენებელი ინჟინერის კვალიფიკაცია. 1968 წლიდან 1975 წლებში ვმუშაობდი ამიერკავკასიის #1 სამშენებლო ტრესტის ხის სგადამამუშავებელ კომბინატში. 1976 წლიდან დღემდე ვმუშაობ ყოფილი საპროექტო ინსტიტუ „გრუზგიპრომეზში“ სამშენებლო განყოფილებაში ინჟინრის, უფროსი ინჟინრის, წამყვანი ინჟინრის და მთავარი კონსტრუქტორის (სპეციალისტის) თანამდებობაზე. გარდა ამისა ვარ შპს „არქიმედის დირექტორი. ვარ დაოჯახებული და მყავს მეუღლე, ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

ჩემს მიერ შესრულებული ზოგიერთი სამუშაოს ჩამონათვალი

1. ქ. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სამრეწველო დანიშნულების საწარმოები და საზოგადოებრივი შენობები (სამმართველო, სასტუმრო, კვების ობიექტი)
2. ქ. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამრეწველო დანიშნულების საწარმოები და საზოგადოებრივი შენობები.
3. ქ. სუმგაითის აზერბაიჯანის მილსაგლინავი ქარხნის სამრეწველო დანიშნულების საწარმოები და საზოგადოებრივი შენობები.
4. ქ. ბეკაბადის უზბეკეთის მეტალურგიული ქარხნის სამრეწველო დანიშნულების საწარმოები და საზოგადოებრივი შენობები.
5. ქ. რუსთავში შპს „ჯეოსტილი“-ს სამრეწველო დანიშნულების და საყოფაცხოვრებო შენობები.



6. ქ. ქუთაისის მეტალურგიული ქარხანა შპს „ევრაზიან სტილს“. ძირითადი საწარმოო კორპუსი.
7. ქ. თბილისი მიხეილ მესხის სახელობის საფეხბურთო სტადიონის დამხმარე მოედნის ტრიბუნების მოწყობა. ძრითად სტადიონზე კი გამაგრე-გაძლიერების სამუშაოები.
8. საქართველოს საფეხბურთო ბაზა „ბასა“-ს ტერიტორიაზე სასტუმროს და გასანათებელი შუქფარების ანძების პროექტირება.
9. ქ. თბილისი ახალი იპოდრომის მთავარი მანეჟისა და თავლების პროექტირება.
10. ქ. ლაგოდეხში საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ბაზაზე სასტუმროს გამაგრება-გაძლიერების პროექტის მომზადება.
11. ქ. რუსთავში შპს „ჯეომეტალ გრუპ“-ის ფეროშენადნობის მინი ქარხანა.
12. ქ. მცხეთა შპს „ინვეტ ფიდი“-ს ცხოველების და ფრინველების საკვების მწარმოებელი ქარხანა.
13. ქ. რუსთავში საერთაშორისო ავტოდრომის სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების პროექტირება.
14. ქ. მცხეთა წეროვნის ხილ-ბოსტნეულის შესანახი (სამაცივრე) შენობა.
15. ქ. რუსთავი ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის დაპროექტება . ძირითადი კორპუსი, სპორტული დარბაზი, საფეხბურთო მოედნის ტრიბუნებით.
16. მარტვილის რაიონში წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა.
17. რუსთავი-თბილისის ჩქაროსნული მაგისტრალისათვის ასფალტ-ბეტონის მინი ქარხანა. (ჩინური კომპანიის დაკვეთით)
18. ქ. რუსთავში შპს „რედკო“-ს ძირითადი საქარმოო კორპუსის, ადმინისტრაციული კორპუსის და საწყობის პროექტირება
19. მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი შპს „სუფთა წყალი“-ს საინჟინრო კომუნიკაციების პროექტირება.
20. გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში შპს „გ.ბ. კონსალტინგი“ საოფისე და ძირითადი სამრეწველო დანიშნულების ობიექტი.
21. პანკისის ხეობაში მდინარე იორზე გადასასვლელი სამანქანო ხიდის მოწყობა.
22. გარდაბნის რაიონი სოფელ მარტყოფში შპს „ამიგოზი“-ს კაკლის გადამამუშავებელი ქარხანა.
23. ქ. თბილისი. შპს „ფრანკო“-ს სასაწყობე და საოფის შენობების პროექტირება

14.01.2022

24. ქ. რუსთავი შპს „სვით ჰოუმი“-ს სასაწყობე და სამაცივრე შენობა ნაგებობების პროეტირება.
25. საკულტო და სამონასტრო დანიშნულების ობიექტების პროექტირება.
26. უამრავი ინდივიდუალური ერთბინიანი და მრავალბინიანი საცხოვრებელი საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, სავაჭრო ობიექტები და სხვადასხვა დანიშნულების საწარმოო, მომსახურების მცირე ზომის შენობა ნაგებობები.

ხარჯთაღრიცხვების შედგენა რესურსული მეთოდით.

27. ქ. თბილისის. ქ. რუსთავის. გარდაბნი მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული სატენდერო წინადადებების მომზადება.
28. დამკვეთის სურვის შემთხვევაში, სამშენებლო დოკუმენტის პროექტის მომზადების შემდგომ სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შედგენა და მომზადება.

კონსტრუქციული დასკვენებისა და საექპერტო კონსტრუქციული დასკვნის მომზადება..

